ოლიმპიადა მშობლიურ ენაში

I ტური – მე-7 კლასი (შემოდგომა, 2025)

I სავარჯიშო: არსებითი სახელი, თანდებულიანი ბრუნვები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

1. **რომელ წინადადებაშია სულიერი არსებითი სახელი?**
   ა) სახლი ტყის პირას მდებარეობს.
   ბ) ეზოში მანქანა შემოვიდა.
   გ) მეგობარს საჩუქარი გადასცა.
2. **რომელი სიტყვაა მოთხრობით ბრუნვაში?**
   ა) მამამ ბ) მეგობრის გ) რკოს
3. **რომელ ბრუნვაშია სიტყვა „პატარძლისთვის“?**
   ა) ნათესაობითში ბ) მიცემითში გ) წოდებითში
4. **რომელია სწორად დაწერილი თანდებულიანი არსებითი სახელი?**
   ა) მეგობრობისთვინ ბ) მეგობრობისათვის გ) მეგობრობისთვინა
5. **რომელ წინადადებაშია არსებითი სახელი მოთხრობით ბრუნვაში?**
   ა) ხეების ჩურჩული მათბობს.
   ბ) ხმა მისცეს ფოთლებმა ერთურთს.
   გ) ხალხნო, დამნაშავე მოიყვანეთ!

სავარჯიშო ალტასგან. გისურვებთ წარმატებას!

II სავარჯიშო: ზედსართავი სახელი და ბრუნვები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

6. **რომელია ზედსართავი სახელი?**
   ა) სამი ბ) მშვენიერი გ) სამეგობროდ
7. **რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული ზედსართავი სახელი: „<u>მხიარული</u> ბავშვები ბაღში თამაშობდნენ.“?**
   ა) მოქმედებითში ბ) სახელობითში გ) ვითარებითში
8. **რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი „ლამაზმა“?**
   ა) მოთხრობითში ბ) მიცემითში გ) სახელობითში
9. **ზედსართავის რომელი ხარისხის ფორმაა „უძლიერესი“?**
   ა) უფროობითის ბ) დადებითის გ) ოდნაობითის
10. **რომელი სიტყვა <u>არ არის</u> ზედსართავი სახელი?**
    ა) ნაზი ბ) მოკლე გ) კითხულობდა

III სავარჯიშო: რიცხვითი სახელის რაობა და მართლწერა. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. **რომელია რიცხვითი სახელი?**
    ა) ხე ბ) ჩემი გ) მეოთხე
12. **რომელ წინადადებაშია დაშვებული შეცდომა?**
    ა) მესამე სართულზე ცხოვრობს.
    ბ) 7-ე კლასში სწავლობს.
    გ) IX საუკუნეში დაიბადა.

13. რომელ წინადადებაშია რიცხვითი სახელი?

ა) მას კაცი ელოდა.
ბ) ზოგიერთი ბავშვი ჩამოვიდა.
გ) სამი ვარსკვლავი გამოჩნდა.

14. რიგობით რიცხვით სახელთა ჯგუფს ეკუთვნის:

ა) მეხუთე ბ) ორმოცდახუთი გ) ვიღაც

15. რომელ წინადადებაშია რაოდენობითი რიცხვითი სახელი?

ა) რვა ვაშლი შეარჩია.
ბ) მეორე ადგილზე გავიდა.
გ) რომელიმე მოსწავლე უნდა გამოსულიყო.

IV სავარჯიშო: ნაცვალსახელი და მისი ჯგუფები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

16. რომელია პირის ნაცვალსახელი?

ა) მე ბ) ესე გ) რომელიმე

17. რომელია მეორე პირის ნაცვალსახელი?

ა) ასეთი ბ) ყველა გ) თქვენ

18. რომელ წინადადებაშია ჩვენებითი ნაცვალსახელი?

ა) ყველას ეძინა.
ბ) შენ თქვი.
გ) ასეთ შემთხვევებში ფრთხილად უნდა იყო.

19. რომელი ნაცვალსახელია მოთხრობით ბრუნვაში?

ა) ჩემი ბ) ამან გ) არაფერს

20. რომელ წინადადებაშია ნაცვალსახელი არასწორად გამოყენებული?

ა) წიგნი ჩემია.
ბ) ვიღაც მოვიდნენ.
გ) ჩემი თვალით ცხადად დავინახე.

V სავარჯიშო: ზმნის პირი და რიცხვი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

21. რომელია ერთპირიანი ზმნა?

ა) დგას ბ) უთხრა გ) ატარა

22. რომელი ზმნაა მხოლობით რიცხვში?

ა) მიდიხართ ბ) წავედით გ) გავიდა

23. რომელ წინადადებაშია ზმნა, რომელიც მდგომარეობას გამოხატავს?

ა) ბავშვი მდინარის პირას იჯდა.
ბ) მხატვარმა სურათი დახატა.
გ) მერცხლებმა ცაზე გადაიფრინეს.

24. რომელ წინადადებაშია ზმნა არასწორად გამოყენებული?

ა) ის დაუბრუნდა სახლში.
ბ) მოსწავლეებმა ამოხსნეს სავარჯიშო.
გ) ის სწრაფად მოვიდა.

25. რომელი ზმნაა ორპირიანი?

ა) წავიდა ბ) მივდივარ გ) დავინახე

VI სავარჯიშო: ტექსტის გააზრება. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

მცხეთა – ერთ-ერთი უძველესი ქალაქი

მცხეთა, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, მდინარეების – არაგვისა და მტკვრის – შესართავთან მდებარეობს. ის ძველი იბერიის სამეფოს დედაქალაქი იყო და მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ როლს ასრულებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულიდან. ქალაქის ადგილმდებარეობა ხელსაყრელი იყო როგორც ვაჭრობისთვის, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით.

სწორედ აქ მოინათლა ქართლის მეფე მირიანი წმინდა ნინოს ქადაგების შედეგად. ამ ფაქტმა საფუძველი ჩაუყარა 326 წელს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. ამავე პერიოდიდან დაიწყო ქრისტიანული არქიტექტურის ბრწყინვალე ტრადიციების ჩამოყალიბება.

ქალაქში აშენდა მრავალი ტაძარი, მათ შორის – ჯვრის მონასტერი და სვეტიცხოველი. სვეტიცხოველი, რომელიც XI საუკუნეში განახლდა, არა მხოლოდ არქიტექტურული შედევრია, არამედ ადგილი, სადაც, ლეგენდის თანახმად, დაცულია ქრისტეს კვართი.

მისი გუმბათოვანი სტრუქტურა, წარწერები და ქვის ორნამენტები შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ტაძარში დაკრძალულნი არიან ქართლის მეფეები და სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული პირები.

დღეს მცხეთა საქართველოს კულტურულ და რელიგიურ ცენტრად მიიჩნევა. მისი ისტორიული ძეგლები შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

26. სად მდებარეობს მცხეთა?

ა) შავი ზღვის სანაპიროზე

ბ) ალიასკაზე

გ) არაგვისა და მტკვრის შესართავთან

27. რომელი სამეფოს დედაქალაქი იყო მცხეთა?

ა) კახეთის ბ) იტალიის გ) ძველი იბერიის

28. ტექსტის მიხედვით, როდიდან ასრულებდა მცხეთა მნიშვნელოვან როლს?

ა) XIII საუკუნიდან

ბ) ქრისტეს შობის შემდეგ

გ) ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულიდან

29. ვინ მოინათლა მცხეთაში წმინდა ნინოს ქადაგების შედეგად?

ა) წმინდა გიორგი ბ) მეფე მირიანი გ) პრეზიდენტი

30. როდის გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?

ა) 1301 წელს ბ) 1425 წელს გ) 326 წელს

31. რომელი ტაძრები გვხვდება მცხეთაში?

ა) გელათი და შიომღვიმე

ბ) ალავერდი და ბეთანია

გ) სვეტიცხოველი და ჯვრის მონასტერი

32. რითი გამოირჩევა სვეტიცხოველი?

ა) საფეხბურთო მოედნებით

ბ) მაღაზიებით

გ) ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი ოსტატობით

33. რა ინახება სვეტიცხოველში გადმოცემის თანახმად?

ა) მეკობრეთა განძი
ბ) ქრისტეს კვართი
გ) ძველი ქართლის კოდექსი

34. ვინ არიან ტაძარში დაკრძალულნი?

ა) მომღერლები ბ) ქართლის მეფეები გ) უცხოელი მწერლები

35. ტექსტის მიხედვით, როგორ აღიქმება მცხეთა დღეს?

ა) როგორც ტურისტული სოფელი
ბ) როგორც გასართობი ცენტრი
გ) როგორც საქართველოს კულტურული და რელიგიური ცენტრი

100-ქულიანი ტესტი დასრულდა. შემდეგი სავარჯიშო ბონუსია. მოცემულია 5 შეკითხვა, თითო 5-ქულიანი. დამატებითი ქულებით ტესტში დაშვებული შეცდომების ანაზღაურება შეგიძლია.

ავერსი AVERSI

36. სიტყვა „იმუნიტეტი“ ნიშნავს:

ა) ორგანიზმის უნარს, დაიცვას თავი ინფექციებისა და დაავადებებისგან
ბ) სხეულის სწრაფი ზრდის უნარს
გ) მხოლოდ ხელების რეგულარულ დაბანას

სანტე
ლოკო მოკო

37. „ლოკო მოკოს“ პროდუქტები ჯანსაღი და გემრიელია. ისინი ჩვენი ორგანიზმისთვის საჭირო არაერთ ..... შეიცავს.

ა) ნივთიერს ბ) ნივთიერებებს გ) ნივთიერებას

38. რომელია ანტონიმური წყვილი?

ა) ბნელი – ნათელი ბ) თბილი – რბილი გ) წიგნი – წიგნები

39. რას ნიშნავს სიტყვა „მადლიერი“?

ა) დამჯდარს ბ) მადლობელს გ) ხელოვანს

40. ვინ არის იგავ-არაკების კრებულის „სიბრძნე სიცრუისა“ ავტორი?

ა) დავით აღმაშენებელი
ბ) შოთა რუსთაველი
გ) სულხან-საბა ორბელიანი